# საქართველო

წელიწადი მეხუთე | ხუთშაბათი, 18 ენკენისთვე 1919 წ. № 20 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.



## იყიდება

ხე-ტყის სახერხი ქარხანა სრული მოწყობილობით, რომელიც შედგება:

ა) „რობეი და კომპანიის" სისტემის, თორმეტ ძალის, № 72, ლოკომობილისაგან.

ბ) „რანსომ"-ის სისტემის, სახერხი, თუჯის სტანოკისაგან და სხვა და სხვა მოწყობილობისაგან დადგმული სადგურ ჯუმათთან.

პირობები მოიკითხეთ სოლომონ ხოშტარიასთან, ქ. ფოთში, გურიის ქუჩაზე. 3—183—1


## აღმასრულებელი კომიტეტი

ვაჭარ-მრეწველთა საბჭოსი, მექარხნეთა, მეფაბრიკეთა, სახელოსნო სამართველოს დეპუტატთა იწვევს

## საერთო კრებას

ქვემოდ ჩამოთვლილ ჯგუფების თვით დაბეგვრის მოსაწყობად. კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს

### ხუთშაბათს ენკენისთვის 18-ს

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | მეთუნუქენი | დილ. 9 საათზე | სახელოსნო სამმართ. |
| 2. | ლუდის ქარხ. | „ 10 „ | მექარხნეთა საზ. პიროგოვის № 6 |
| 3. | ლუდის სავაჭროები | „ 10 „ | ბირჟა პუშკ. № 5 |
| 4. | მავთულ ის სახელოსნო | „ 10 „ | მექარხნეთ საზოგ. პიროგ. № 6 |
| 5. | მკალავები | „ 10 „ | სახელ. სამმართველო. |
| 6. | ნაბდის მაღაზიები | „ 12 „ | მეიდანზე, კონტრაგენტ. |
| 7. | მესაათენი | „ 11 „ | სახელოსნო სამმართ. |
| 8. | ყდის გამკეთებელნი | „ „ „ | „ „ „ |
| 9. | მხატვარნი | „ „ „ | „ „ „ |
| 10. | მღებავნი | „ „ „ | „ „ „ |
| 11. | საღებავების ქარხ. | „ „ „ | მექარხნეთა საზ. |
| 12. | საღებავების მაღაზ. | „ 12 „ | მოედანზე კონტ. აგენტ. |
| 13. | სასაპნე | საღ. 5 საათზე | „ „ „ |
| 14. | სახერხავი ქარხ. | დილ. 11 „ | მექარხნეთა საზ. პიროგოვის 6 |
| 15. | თითბრის სახელ. | „ 10 „ | ბირჟა, პუშკ. 5 |
| 16. | სპილენძის ქარხ. | დღის 1 საათზე | მექარხნეთა საზ. პიროგ. 6 |
| 17. | საპორტრეტო სახელ. | „ 1 „ | ბირჟ. პუშკ. 5 |
| 18. | ტიპოგრაფია და ლიტ. | საღ. 6 საათზე | მექარხნეთა საზ. პიროგ. 6 |
| 19. | ტანისამოსის საწმედი | „ 1 „ | სახელოსნო სამმართ. |
| 20. | ტანისამოსის მაღ. | „ 12 „ | მე 9 უბნის კონტ. აგენ |
| 21. | ტირი | „ 10 „ | ბირჟა, პუშკ. 5. |
| 22. | ტყავის სახელოსნო | „ 2 „ | სახელ. სამმართ. |
| 23. | მეფარნეები | დილ. 9 „ | ბირჟა, პუშკ. 5. |
| 24. | მეფქვილეები | „ 2 „ | მე 2 უბნის კონტ. აგენტ. |
| 25. | ქვის მჭრელები | 9 „ | ბირჟა, პუშკ. 5 |
| 26. | მეზონრ ები | „ 12 „ | „ „ |
| 27. | ჩამომსხმელნი | „ 1 „ | „ „ |
| 28. | ბინების სახელოსნო | „ 6 „ | მექარხნეთა საზოგ. |
| 29. | „შროტკების" მაღ. | „ 5 „ | სახელოსნო სამმართვ. |
| 30. | შპალიერის მაღაზ. | „ 5 „ | ბირჟა, პუშკ. 5. |
| 31. | მეჩუსტეები | „ 11 „ | სახელოსნო სამმართვ. |
| 32. | მეჭურჭლეები | „ 5 „ | მოედანზე |
| 33. | წიგნის მაღაზიები | საღ. 7 „ | მე 2 უბნის კონტ. აგენტ. |
| 34. | წინდების სახელოსნ. | „ 6 „ | ბირჟა |
| 35. | წისქვილები | „ 10 „ | მექარხნეების საზ. |
| 36. | წყალსადენი | „ 2 „ | „ „ |
| 37. | გამაგრილ. სასმელ. | „ „ „ | ქალაქის სამმართ. |
| 38. | შესაკეთებელი სახელოს. | „ 6 „ | მექარხნეთა საზ. პიროგ. 6. |
| 39. | ჩამომსხმელ ი ქარხ. | „ 12 „ | სახელ. სამმართ. |
| 40. | ფეხსაცმ. მწმენდავნი | „ 2 „ | „ „ |

### პარასკევს ენკენისთვის 19-ს

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | მექანიკური და ელექტრონის სახელ. | საღ. 7 ს. | მექარხ. საზ. პიროგ. ქ. 6. |
| 2. | საპნის ქარხნები | „ 6 „ | „ „ „ „ |
| 3. | საქსოვი ქარხნები | „ 5 „ | „ „ „ „ |
| 4. | ტყავის ქარხნები | „ 6 „ | „ „ „ „ |
| 5. | მანუფაქტ. მოვაჭრენი | დღის 2 „ | ქალაქის სამმართველო |

გადასახადების გაწერვა სწარმოებს საერთო კრების მიერ ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს და ქალაქის სამმართველოს კონტროლის ქვეშ. კერძო პირთა დასაბეგრად მოცემულია მხოლოდ ერთი კვირის ვადა. 1—2546 1

## უძლეველი გუროვება

რესპუბლიკის მტრებმა მცირედი დასვენების შემდეგ კვლავ გააჩაღეს ხალხის ძლეტა და აწიოკება. ვერ ვიტყვით, რომ პროვინციაში წინადაც დაწყნარებული ცხოვრება ყოფილიყო; ავაზაკობა და სხვისი ქონების მითვისება თანდაყოლილ ცოდვად მისდევს სახელმწიფოს და ვერ იქნა, ვერ ვიხსენით შეძრწუნებული სოფლის მოსახლეობა თავხედ ნაძირალ ების ბრჭყალებიდან.

გასაოცარი ამბავია: მთელი ერი სოციალისტობს, მაშასადამე, საფიქრებელია, საკმაოდ გამობრძმედილა სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში და შეგნებულად ერკვევა პოლიტიკურ პარტიების საბოლო მიზნებში! თითქმის მთელი ქართველობა სოციალდემოკრატიის კლიენტურას წარმოადგენს, არ ჰღალატ ობს მას არც ერთ არჩევნებში, თუ პოლიტიკურ გამოსვლებში და აშკარად აცხადებს თავის სიმპატიას იმ ძყობილებისადმი, როდესაც ბორო ტ ქვეყანაში საბოლოდ განმტკიცდება სოციალიზმის სამეფო. ქართველი ხალხის ამ ვითარებით ამაყობენ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელები და „დემოკრატიის" შეგნებაში ჰპოვებენ თავისი დოქტრინის, ასე ვთქვათ, პრაქტიკულ გამართლებას!

პირველი შეხედვით, ასეთ სამაგალითო ქვეყანაში „მგელი და კრავი ერთად უნდა სძოვდნენ" და საზოგადოებრივი ურთიერთობა და წესები სხვათათვის მისაბაძი უნდა იყოს. რას ვხედავთ სინამდვილეში? ისეთი მახინჯი და დაუსრულებელი ბოროტ-განზრახვა და ყოვლად უსინდისო დანაშაულობა, როგორიც მოდებულია მთელს საქართველოს მიწაწყალ ზე, არცერთ ზეცის მიერ კურთხეულ ქვეყანაში არ მოიძებნება. არავინ არის დაზღვეული, რომ დღეს, ხვალ მას სიცოცხლეს არ მოუსპობენ, ან ნიავს არ გაატანენ მის სარჩო საბადებელს. სოფლიდან სოფლად მგზავრობა ისე არ შეიძლება, თუ არა აბჯარ-ასხმული და საკმაო შეიარაღებულ მცველებით.

ბოლო ხანებში მცხოვრებლების დარბევამ უკიდურეს პესსიმისტების მოლოდინს გადააჭარბა: საოცარ დიდი მაშტაბით აწყობენ ხალხის მტრები თავის შავ განზრახვებს და ოსტატურ დახელოვნებით სისრულეში მოჰყავთ მშვიდობიან მცხოვრებთა აკლება, ის უდიდესი ბოროტმოქმედებანი, რასაც ამ დღეებში ადგი ლი ჰქონდა რესპუბლიკის სატახტო ქალაქში და ორ ადგილას რკინის გზის ლიანდაგზე, არ შეიძლება სპორადიულ, ცალკე მომხდარ მოვლენად ჩაითვალოს. თუ „ღრმა" მიზეზების ძიებას თავი დავანებეთ, ის მაინც აშკარაა, რომ რესპუბლიკაში წმინდა ქსელია გაბმული და მისი თავი ხელთ უჭირავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ორგანიზაციას.

ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც საფუძველი ეყრება ჩვენს სახელმწიფოებრიობას და მისი ფორმები საბოლოო კონსტრუქციით ეწყობა, მეტის მეტ საშიშროებას წარმოადგენს ყოველი აქტი, რომლის შინაარსი პოლიტიკურ გამოხმაურებას ჰპოვებს საქართველოს საკითხით დაინტერესებულ გარეშე მეთვალყურეთა შორის. ყოველ ტერრორისტულ'ა, თუ უბრალო ძარცვა-გლეჯის ფაქტს ჩვენთვის არასასურველი კომენტარიები ერთვის და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ უთვალავი მტრებით შემოზღუდული ვართ, ცხადი უნდა იყოს, რა გრანდიოზულ ტემპით იმოქმედებენ ჩვენს წინააღმდეგ ყოველ ამგვარ მოვლენის დროს და როგორ დაასურათებენ ჩვენს წესებს უცხოთა წინაშე.

უჩინარი ბოროტი ხელი სახელმწიფოს საფრთხეს უმზადებს, ხოლო ნიადაგი შემზადებული აქვს ალბირ ახსნილ და გაბრიყვებულ ბნელ მასსაში.

ვერავითარი გარეშე საექვო ორგანიზაციები ვერ იხეირებენ ჩვენში, თუ მათ მიღალატე მუშაობას ჩვენივე გათახსირებული საზოგადოების წრეები ხელს არ უწყობდნენ.

უნდა ვიხსნათ სახელმწიფო უამრავ მტრებისაგან—სულ ერთია, შინაური იქნება, თუ უცხო—რესპუბლიკის ძალდატანებით აპპარატმა უნდა მოღუნოს გათამამებულ ყაჩაღთა გროვა, რომ სინამდვილეში არ იხილოს მთელი სისასტიკე განრისხებულ ხალხისა...

## პრესის მაგიერ

თავის „ბრძნულ" წერილის გამორუსეთი და ჩვენ „ერთობა" უკანასკნელ ნომერში ვრცელ „განმარტებას" იძლევა ორ ფრონტზე: „სახალხო საქმეს" უკიჟინებს მიუხვედრელობას, საკითხის არევ-დარევას და შემცდარ აზრის გამოყვანას, ჩვენ—კი „ერთობის" აზრით, შეგვითვისებია სავსებით გაზეთის წერილის უმთავრესი დებულება, მაგრამ რადგანაც „დამოუკიდებელი საქართველო ჩვენი მიზანია, უკანასკნელი ნავთ-საყუდელი, „გზის დასასრული", ამიტომ ჩვენთვის არსებითად მიუღებელია „სწორი მარქსისტული შეხედულება" საგანზე. ჩვენ გვეგონა „განმარტებაში" „ერთობა" ამ არსებითი საგანზე უფრო დამაჯერებლად იმსჯელებდა და, ჩვენ თუ არა, სხვებს მაინც დაუმტკიცებდა თვისი აზრის სისწორეს, მაგრამ მენშევიკების ლეიბ-ორგანომ სიტყვა ბანზე ააგდო და „დიდ რუსეთის" უსაზღვრო სივრცეზე ოხუნჯობას მიჰყო ხელი. მართალია, „ერთობის" პუბლიცისტები პრაქტიკიდან მაინც უკეთესად იცნობენ „დიდ რუსეთის" გეოგრაფიას, უფრო მის აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგრამ „დიდი რუსეთის" პატარაძე გარდაქმნა ჩვენს მიზანს არ შეადგენს სრულებით ისევე, როგორც „ერთობელებს" მაინცა და მაინც ძლიერ არ უნდა აინტერესებდეთ რუსეთის განუზომელი სივრცე. ყოველს შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: რუსეთს განუდგნენ ჩვენთან ერთად სხვებიც და მათ გაძოკლებით „დიდი რუსეთი" არც თუ ისე შიშის მომგვრელი იქნება. „ერთობელებს"-კი რუსეთის რესტავრაცია ჰსურთ „მარქსისტული თვალსაზრისით" და ამისთვის დამოუკიდებელ საქართველოს არ დაეჭხოვაძენ. დამეგობრების და სოლიდარობის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ ძეგობრები და კეთილის მყოფელები ხომ კავკასიონის ქედის გადაღმა არ გვეგულება მხოლოდ? „რომში" სხვა გზითაც შეიძლება მისვლა...

## არჩევნები სვანეთში

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები ზემო სვანეთში დასრულდა 7 ენკენისთვეს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლებმა. ხმები ასე დანაწილდა:

1. უშკულის საარჩევნო უბანში მიილო № 1—00, № 2—45, № 3 00, № 5—36 და № 8—1.

2. კალის საარჩევნო უბანში მიილო № 1—12, № 2—220.

3. იფარის საარჩევნო უბანში მიილო № 1—00, № 2—307.

4. წვირმის საარჩევნო უბანში მიილო № 1—91, № 2—44, № 3—4, № 5—96.

5. მუჟალის საარჩევნო უბანში მიილო № 1—4, № 2—9, № 5 —1.

6. მულახის საარჩევნო უბანში მიილო № 1—30, № 2—61, № 3—3 № 5 257.

7. მესტიის საარჩევნო უბანში მიილო № 1—165, № 2—49, № 5 59. № 8—6.

8. ლენჯერის საარჩევნო უბანში მიილო № 1—217, № 2—5, № 5—43.

9. ლატალის საარჩევნო უბანში მიილო № 1—140, № 2—260, № 5 200.

10. ბეჩოს საარჩევნო უბანში მიილო № 1—80, № 2—13, № 5—3.

11. ცხუმარის საარჩევნო უბანში მიილო № 1—80, № 2—27, № 5 14.

12. ეწერის საარჩევნო უბანში მიილო № 1—56, № 2—1.

13. ლახამულის საარჩევნო უბანში მიილო № 1—28, № 2—3, № 5—1.

14. ჩუბეხევის საარჩევნო უბანში მიილო № 1—1, № 5—28.

სულ მიილო № 1—904, № 2—1044, № 3—7, № 5 738. № 8—7.

არ შესდგა არჩევნები ხალხის გამოუცხადებლობის გამო ბეჩუშერის, ხაიშდის და ფარის უბნებში, თუმცა ინსტრუქტორი სცნობს ფარის არჩევნებსაც, სადაც პარტიათა და ერობის შორის შეთანხმებით დანიშნულს უკანასკნელს ვადაში არჩევნები არ მომხდარა, არჩევნები ამ დროს გასვლის შემდგომ მოეწყოვო.

## ქრონიკა

### მთავარ კომიტეტის კრება

ხუთშაბათს 18 ენკენისთვეს დღის პირველ საათზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. ფრიად მნიშვნელოვან საკითხების განხახილველად დასწრება ხავალდებულოა ყველა სათვის.

✦ **გენ. კორის მადლობა მთავრობისადმი.** მისს აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. თქვენო აღმატებულებავ! ამჟამად დამთავრებულია საქართველოსა და აზერბეიჯანიდან ბრიტანეთის ჯარის ევაკუაცია. უკანასკნელმა სამხედრო მატარებელმა დასტოვა თბილისი ამ თვის 9-ს. ბრიტანეთის მთელი ჯარის ევაკუაცია მოხდა სწორედ სამს კვირაში და საერთოდ ყოველი მატარებელი გადიოდა თანახმად გეგმისა და მთელი ოპერაცია შესრულებულ იქნა სრულიად შეუჩერებლად. მე ვფიქრობ, რომ საქმის ასეთი შესრულება უნდა მიეწეროს საქართველოს მთავრობის პატიოსანს დახმარებას. იგი იწვევს უმაღლეს ნდობის გრძნობას საქართველოს რკინის გზათა ადმინისტრაციის და მოსამსახურეთა მიმართ. გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა იმ დამსახურებისთვის რომელიც თქვენმა მთავრობამ გაუწია გენერალ ბროფს ევაკუაციის დროს და გადასცეთ ჩემი გულითადი მადლობა საქართველოს რკინის გზათა მოსამსახურეთ იმ კეთილ შრომისათვის, რომელიც მათ გასწიეს ჩვენთან საერთო მოღვაწეობის განმავლობაში.

**გენერალ მაიორი კორი.**

✦ **დავითხანიანის დაბრუნება.** ერევნიდან თბილისში დაბრუნდა სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული დავითხანიანი.

✦ **სომეხ ლტოლვილთა გაგზავნა.** სომეხ ლტოლვილთა საქართველოს საზღვრებიდან გაყვანა დროებით შეჩერდა.

✦ **მატარებლის გაძარცვა** სექტემბრის 16-ს საღამოს 10 საათზე ბოროტგამზრახველებმა გააჩერეს რიონიდან ქუთაისს მიმავალი მატარებელი № 79 და გასძარცვეს უკანა ვაგონის მგზავრები. წაიღეს 200 ათასამდის ფული და ერთი ჩემოდანი. ბოროტგამზრახველთა შესაპყრობად მიღებულია ზომები.

✦ **ფოსტის გაძარცვა** სექტემბრის 17-ს დილის 10 საათზე კოჯორ-მანგლისის გზაზე კოჯორიდან 4 ვერსის მოშორებით ბოროტგამზრახველებმა გასძარცვეს თბილისიდან მანგლისს მიმავალი ფოსტა. მოჰკლეს შოფერი და წაიღეს 59 ათასი მანეთი.

✦ **მკვლელობა.** 16 ენკენისთვეს ღამით მეთერთმეტე უბანში ბერელაშვილის ბაღში მოჰკლეს ბაღის მოიჯარადრე ბეს. ქობულია, ეჭვით შეიპყრეს მისივე აზნაგები კ. კვესაძე და ილ. რუხაძე.

✦ **გვამის აღმოჩენა.** მტკვრის პირას იპოვეს მოკლული კაცის გვამი, მკვდრის ვინაობა გამოურკვეველია.

✦ **ქურდობა.** ნავთლუღის ქუჩაზე მცხოვრებმა რ. ჯაველაშვილმა მილიციაში განაცხადა, რომ მისი ბინიდან ბოროტ-გამზრახველებმა 3000 მან. სხ. და სხ. ნივთები მოიპარეს.

✦ **სტუდენტთა კრება.** დღეს, საღამოს 5 საათზე სახელმ. უნივერსიტეტში დანიშნულია საექიმო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა არა ჩვეულებრივი კრება.

✦ **სამეურ. ფაკ. სტუდენტთა საყურადღებოდ.** სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე, ვინც თხოვნა შეიტანა, საჩქაროთ უნდა წარადგინოს საბუთები. ლექციების კითხვა იწყება 28 ენკენისთვიდან.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო კოლა გულიაშვილის „დრამატიული ნაგლეჯები". წიგნი პატარაა, 16 გვერდია და ღირს 2 მან.

✦ **სომეხ ლტოლვილთა გასაგზავნად** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენლობასთან (საქართველოში) დაარსდა სომეხ ლტოლვილთა მომძებნი ბიურო, რომელსაც ჰყავს საჭირო აგენტები, რომელნიც ეძებენ საქართველოში მყოფ სომხის ლტოლვილებს სომხეთში გასაგზავნად.

## ქალაქის სახელის ნაციონალიზაცია

„ნ. აზხ"-რის ცნობით პოლონეთის ჯარების მთავარ სარდლის პომ ერსკის ბრძანებით დანციგს სახელი გამოეცვალა და გდანსკი დაერქვა. იგი შეიქნა პოლონეთის ფლოტის ნავთ საყუდრად.

## ახლო აღმოსავლეთის საქმეთა კომიტეტი

ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა საერთო ყურადღებას იქცევს. პარიზში მყოფ მთელი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებმა ამ საქმის გამოსარკვევად დაარსეს „საგანგებო კომიტეტი ახლო აღმოსავლეთის საქმეებისა" რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ: ინგლისის მხრივ ლორდ მილნერი ამერიკის—პაიკ ჰაუსი, საფრანგეთის—სიმონი იტალიის —კრისპი და იაპონიის მხრივ წარმომადგენელია ჩინდი.

## უკანასკნელი ცნობები

გერმანიის სახელმწიფო ღერბად დაამტკიცეს ერთ თავიანი შავი არწივი რომელსაც თავზე გვირგვინი აღარ ექნება.

გერმანიის ქალაქებში უმუშევართა რიცხვი 41.000 აღწევს.

რუმინეთს და სერბეთს ავსტრიასთან დადებულ საზავო პირობებზე ჯერ ხელი არ მოუწერიათ.

ფონ დერ-ჰოლცის ჯარის გარშემო კურლიანდიაში მდგომარეობა რთულდება.

მოკავშირეთა გადაწყვეტილებით ტაშენი სილეზიას და პოლონეთს შეუერთდა ამან ჩეხების საერთო აღშფოთება გამოიწვია. პრაჰაში გაფიცვებია.

შვეციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა სურვილი გამოსთქვეს ბოლშევიკურ ინტერნაციონალს შეუერთდენ.

## ყუბანი

### მთავრობის კრიზისი

მთავრობის კრიზისი ყუბანში გრძელდება. ტრუსკოვსკის გადადგომა გადაწყვეტილია. ფინანსთა მინისტრის კანდიდატად ასახელებენ გო ოვს. სახალხო განათლების მინისტრად ჰფიქრობენ ყოფილი მინისტრთა თავმჯდომარე სუშკოვი დანიშნონ. სკობცოვის თხოვნა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ჯერ ჯერობით არ შეიტყნარეს სკობცოვი, თხოვნის შეტანის შემდეგაც გამოვიდა მთავრობის მიწის კანონ-პროექტის დამცველად რადაში მარიამობისთვის 17 ს. უკანასკნელ ხანებში მეტ ყურადღებას იქცევს ყურგანსკი, ბეზკროვნი და ივანისი.

## „ამერიკის საფრთხე ინგლისის მეჭრობისთვის"

„მატინ"-ში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „თემთა პალატის ცნობილი წევრი ინგლისის მუშათა პარტიის მთავარი მოღვაწე ტომასმა, ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ერთ ერთ ჟურნალისტს განუცხადა: „ჩვენ ინგლისში სრულ განადგურებისკენ ვართ დაქანებული. მთელ ამერიკაში, როგორც პირადად ნახულმა დამარწმუნა, წარმოებს ნამდვილი მუშაობა ვაჭრობა მოეწყველობის ასაყვავებლად, რომ მსოფლიო პირველობა ხელიდან გამოგვტაცონ. როგორც სჩანს ინგლისის ხალხს შეგნებული არა აქვს, რომ ამერიკელები მას საშინელ საფრთხეს უმზადებენ. ჩრდილო ამერიკაში ყველანაირი ნედლი მასალა მრავლადაა, რასაც ჩვენ ვსაჭიროებთ თუ გვსურს ეკონომიური განვითარება და თუ ჩვენ ძველებურად არ შეუდგებით მუშაობას, თუ ჩვენი ქარხნები ძველებურად არ ამუშავდება, მაშინ ეს ჩვენ ძვირად დაგვიჯდება და იქნებ თანაც გადაგვიტანოს".

## იაპონია და ბოლშევიკები

(ძოკავშ. მისიის ცნობა)

„Associatep Press"-ი იუწყება: იაპონიის მთავრობამ ამირბარ კოლჩაკს აცნობა, რომ იაპონიის კაბინეტი არ არის თანახმა ციმბირში ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარის გაგზავნაზე.

## ამერიკის ჯარი

სენატის სამხედრო კომისიაში, ვაშინგტონში სამხედრო მინისტრმა ბეკერმა განაცხადა, რომ პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნული განწყობილება მსოფლიოსი გვაიძულებს, რომ ძლიერი ლაშქარნი ვიყოლიოთ, რომ ყოველგვარ მოულოდნელობას შესაფერი პასუხი გავცეთ. იგი იცავდა იმ აზრს რომ ამერიკას 500:000-იანი ჯარი ჰყოლოდა. დასასრულ, ბეკერმა სთქვა, რომ რეგულიარული ჯარი ისეთის ორგანიზაციისა უნდა იყოს რომ ყოველ წუთს შეიძლებოდეს მისგან დიდი ლაშქრის შექმნა.

# იტალიის მისიის ცნობები

**კაიო.**

კაიო ციხიდან ლაზარეთში გადაიყვანეს.

**ტიტონის გამგზავრება.**

**პარიზი.** ტიტონიმ თავის გამგზავრება რომში დროებით გადასდო, რადგან იტალიის საქმეების გამო სურს ინახულოს კლემანსო და ლლოიდ ჯორჯი.

**ირლანდიაში.**

**ლონდონი.** ირლანდიის ნაციონალისტების აგიტაცია იზრდება. პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე პირი.

**ტრედ-უნიონისტების თხოვნა.**

**ლონდონი.** ტრედ-უნიონისტების კონგრესმა დაადგინა მთავრობას სთხოვოს, რომ მოხდეს ნაციონალიზაცია ეროვნულ ბუნებრივ სიმდიდრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრედ-უნიონისტები „სასტიკ ბრძოლით იმუქრებიან.

**პოლიციის გაფიცვა ბოსტონში.**

**ბოსტონი.** პოლიციის აგენტთა გაფიცვის დროს მრავალი მაღაზია და ამტვრიეს და გაძარცვეს. წესრიგი ჯარმა აღადგინა.

**გერმანიის ხელშეკრულება.**

**კეპტოუენი.** პალატაში 84 ხმით წინააღმდეგ 19-სა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დაამტკიცეს.

# ბოლშევიკების ოპერატიული ცნობები

მარიამობისთვის 15-ს

**ჩრდილოეთის ფრონტი.** ჩრდილოეთ დვინის და პინეგის მიმართულებით ჩვენი მზვერავები მოქმედებენ. შენკურსკის მიმართულებით მდ. კამზე, ბერეზნავთან მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს. მურმანის მიმართულებით მტერმა კავზორუ დაიჭირა ლიჟენის დასავლეთით.

**დასავლეთის ფრონტი.** ფინეთის ყურეში კრონშტადზე მტრის ჰაეროპლანები გამოჩნდნენ და ყუმბარები ჩამოყარეს. ლუგის და გდოვის რაიონში სასტიკი ბრძოლაა. დვინის რაიონში ჯარმა მტერი დვინის მარცხენა ნაპირისაკენ განდევნა, სამხრეთით ჩვენ დისნა დავტოვეთ. ბორისოგლებს მიმართულებით ბორისოვის აღმოსავლეთით 55 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ბობრუისკის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება, ბობრუისკის ჩრდილოეთით 12 ვერსზე ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. სამხრეთით ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. ვოლინის, ნოვგოროდის და ჟიტომირის მიმართულებით ბრძოლაა. ჩერნიგოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ჩერნიგოვის სამხრეთით 43 ვერსზე სოფლებს მიაღწია.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ტროიცკის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ყურგანის რაიონში პეტროპავლოვის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ. იშიმის რაიონში მდ. კაგაიზე მტერს აჩერებს. ჩრდილოეთით ჩვენ მდ. იშიმზე წინ მივიწიეთ. ტობოლის რაიონში შეტევა ისევ კარგად მიდის.

**სამხრეთის ფრონტი.** ბახმაჩ-კონოტოპის მიმართ. ბრძოლაა. სუმის მიმართ ბრძოლის შემდეგ ჩვენ ვოროჟბა დავსტოვეთ და სამხრეთით და დასავლეთით ვიბრძვით. სუჯის რაიონში ობოიანის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 30 ვერსზე ბრძოლაა. ქვედა ხოპრის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდა და ლუიკოვსკაია დაიჭირა. უსტ-მეზულუკის რაიონში ბრძოლაა. ხოპრის შესართავთან ჩვენ ლუკანოვსკაია დავიჭირეთ. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა არ შეცვლილა.

**თურანის ფრონტი.** ცარიცინის რაიონში ჩვენი ნაწილები უმაკოვის რაიონში, ცარიცინიდან 50 ვერსზე იბრძვიან; ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები და ერთი ზარბაზანი სამი ყუთი ყუმბარებით ხელთ ვიგდეთ. ურალსკის რაიონში სად. შიპოვას რაიონში ბრძოლის შემდეგ ჩვენ მტერს უკან დავახევინეთ. მდ. ურალის მარცხენა ნაპირზე ურალსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 ვერსზე მტერი მოულოდნელად თავს დაგვესხა, მაგრამ ბრძოლით სამხრეთისკენ დავახევინეთ აქტიუბინსკსა და ორსკის რაიონში, აქტიუბინსკიდან 85 ვერსზე ჩვენი ცხენოსანი ჯარი მტერს გარს შემოერტყა და ბრძოლის შემდეგ მტრის ორი პოლკი ტყვიის მფრქვეველებით ტყვეთ წამოვიყვანეთ. 13 ენკენისთვეს კამალინის მიმართულებით თურანის ფრონტის ჯარები ტაშკენტის რაზმს შეუერთდა. ამავე დღეს აქტიუბინსკში სად. ჩელკართან დაჭრილებით სავსე მატარებელი მოვიდა. ამ გვარათ მტრის სამხრეთ არმიის დამარცხების შემდეგათ ჩვენ თურანის გზა გავიხსენით. დამატებითი ცნობებით სად. ბერ-ჩოგურის დაჭერის დროს, ტაშკენტის რაზმმა ხელში ჩაიგდო 7 ზარბაზანი, მრავალი იარაღი, 5 ორთქლმავალი, 200 ვაგონი და სხვა მრავალი სამხედრო ქონება.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

## გერმანული პრესა

**გერმანიის ღერბი**

გერმანიის ახალ სახელმწიფო ღერბად დაამტკიცეს ერთ თავიანთი შავი არწივი, რომელსაც თავზე არც გვირგვინი და არც არავითარი ემბლემა არ ექნება.

**პოლონელთა პოლიტიკა დაპყრობილ ავსტრიაში.**

ბერლინში გამოსული პოლონური გაზეთი „ბერლინსკი დზენნიკ“-ი იძლევა დამახასიათებელ აღწერას იმ ადმინისტრაციული პოლიტიკისას, რომელიც პოლონელებმა შემოიღეს ავსტრიის ყოფილ ოლქებში. „იქ ისეთივე ბოროტმოქმედება, როგორც პოლონეთის სხვა ოლქებში, უნებართვო ვაჭრობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურეები ცხვირს მაღლა სწევენ, იწევიან თუთუნს და ხალხს უდიერად ეპყრობიან. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქო პრუსიის „ჩინოვნიკების“ ფუქსავატი მედიდურობა პოლონელებს შეუსისხლორცებიათ. გაზეთი განაგრძობს, რომ ისინი ბევრ ბოროტებას სჩადიან იქიდანაც სჩანს, რომ ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება, ექსპერტებზე ყოველგვარ ნებართვის გაუქმების შესახებ.

ხორბალი პოზნანიდან აშკარად გამოქონდათ და კალიშში იყიდებოდა. შემდეგ გაზეთი აღწერს იმ უკანონო მოქმედებებს, რომელიც სამხედრო ქონებით ავტომობილებით, ოქროს და ქაღალდის ფულებით ვაჭრობით არის გამოწვეული.

**გერმანიის უმუშევარნი.**

აგვისტოს ბოლოს მომხდარი სტატისტიკური ცნობებით, რომელიც გაზეთებში იქნა გამოქვეყნებული, გერმანიის უმუშევართა მდგომარეობა უნუგეშოა. გერმანიის 140 ქალაქში უმუშევართა რიცხვი 41,000 აღწევს. ნახშირის და დასამუშავებელ მასალის უქონლობით გაფიცვებით, ხელფასის მომატებით, სავაჭრო საქმეების გაძნელებით, ფაბრიკების რიცხვის შემცირებით ძლიერ რთულდება მდგომარეობა. დიდია აგრეთვე უმუშევარ ქალთა რიცხვი ვაჭრობა მრეწველობის საქმე არ არის დამაკმაყოფილებელი.

## იტალიური პრესა

**საზავო კონფერენციის დათხოვნის გარშემო**

„ჟურნალი“ იუწყება, რომ საზავო კონფერენციის დათხოვნის იდეას მრავალი მომხრეები ჰყავს. ამერიკელები და კლემანსო ამას გადაწყვეტილათ ეწინააღმდეგებიან: „მატენ“-ი უმატებს, რომ ამერიკელები უმაღლეს საბჭოს სხდომების გადადების ფორმალურად წინააღმდეგი არიან, რადგან კონფერენციამ თვალსაჩინო საკითხები უნდა გადასწყვიტოს.

**გენ. დიაცი**

გენერალ დიაცი ქალაქ ლონდონის საპატიო მოქალაქეთ აირჩიეს. გადასწყდა განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნათ მას ხმალი უძღვნან.

**რუმინეთი და სერბეთი ხელს არ აწერენ**

რუმინიას და სერბიას ავსტრიასთან დადებულ პირობებზე ხელი ჯერ კიდევ არ მოუწერიათ.

**ომში დახოცილ იტალიელთა პატივისცემა**

ნიუ-იორკიდან მოსული დეპეშა იუწყება. კრეისერ „კავურ“-ის იტალიელ მეზღვაურთა ზეიმით შეხვედრის შესახებ. უფროსი რაზმით, მუსიკით და ბაირაღებით სასაფლაოსკენ გაემართა, რომ ენახა ომში დახოცილთა სასაფლაო. ადმირალ ფერის ძეგლები მათ ყვავილებით შეამკეს.

**გაფიცვები შეერთებულ შტატებში**

**ნაუენი,** ენკ. 14. „ტაიმს“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება რომ შეერთებულ შტატებში ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში 11,000 გაფიცვას ქონდა ადგილი, უმეტესი ნაწილი გაფიცვებისა მუშების სასარგებლოდ დასრულდა. ამერიკის მუშებს გაფიცვით თან და თან თავისი უფლების შეგნება ეტყობათ, მუშათა პროპაგანდა მტკიცე ნიადაგს პოულობს სიძვირის გაძლიერების გამო, ამას ემატება მუშათა ხელის ნაკლებობა. იმ დროს როდესაც შეერთებულ შტატებში ყოველ წელიწადში მილიონობით მიდიოდენ ემიგრანტები, ეხლა სულ სხვა სურათს ვხედავთ: 30000 ევროპიელი სტოვებს ყოველ თვეში ამერიკას შრომის ბირჟის ანგარიშს თანახმად მრავალ ადგილას საგრძნობი მუშა ხელის ნაკლებობა.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** ენკენ. 13. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** პინეგის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდენ და 20 ვერსით წინ წაიწიეს და ბრძოლით დაიჭირეს ალექსეევკა პინეგის აღმოსავლეთით 18 ვერსზე. ჩრდილო-დვინის მიმართულებით დვინის ორივე ნაპირზე მოწინააღმდეგე უწესრიგოთ გარბის, ანგრევს ხიდებს, ტელეგრაფის ბოძებს, აბნევს პატრონებს და სასროლ საგნებს. ჩვენმა ნაწილებმა მდ. სოლმენგამდე მიაღწია. კადიმსკის მიმართულებით ძლიერი სროლაა. რკინის გზის მიმართულებით ორივე მხარეების ჰაეროპლანები დაფრინავენ. გდოვის მიმართულებით ჩვენი შეტევა ჩვენდა სასარგებლოდ ვითარდება. ჩვენ ქალაქი დრისა დავიჭირეთ. ბობრუისკის მიმართულებით ჩვენი შეტევა ვითარდება. ჟიტომირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რადომისლი დაიჭირა. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა ჩერნიგოვის სამხრეთით 30 40 ვერსზე რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. აბაიანო-სუჯენის მიმართულებით გამწვავებული ბრძოლაა, ხან ერთი მხარე იმარჯვებს, ხან მეორე. უსტ-მეზულუკის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა განაგრძო შეტევა, ბრძოლით გავიდა რამდენიმე სოფლის ხაზზე 20—30 ვერსზე უსტ-მეზულუკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით.

**7-ს არმიის შტაბი.** სექტ. 12. 11 სექტემბერს ჩვენმა ჯარმა ხელმეორედ აიღო ქ. დრისსა, რომელიც ჩვენ წინეთ მტრის მოწოლის გამო დავტოვეთ,

**ბოლშევიკების წინსვლა**

**მოსკოვი.** სექტ. 11. ტაშკენტის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო ქალაქი თიმირ-ტიხვინი (ნოვგოროდის გუბ.) 12 სექტემბერს ტიხვინის მაზრაში სოფ. გუბის რაიონში, ბელგოროდის ვოლოსტაში აღმოაჩინეს ქვანახშირის მადანი.

**ჩეხო სლოვაკები და ავსტრიელები.**

**ლიონი.** ენკ. 11. (საბერძნეთის რადიო) „პტი ჟურნალი“ ის სიტყვით, კონფერენციის დაახლოვებულ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩეხო-სლოვაკები და სამხრეთ სლავიანები ავსტრიასთან ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერენ.

**გერმანიის ხელშეკრულ. გარშემო.**

**რომი.** ენკ. 11. გერმანიასთან დადებული ხელშეკრულობის პუნქტების ასრულების თვალ ყურის სადევნებლად დანიშნული კომისია სამ სექციათ გაიყო: 1. გერმანიის არმიის საკითხების, 2. სამხედრო მასალების და შეიარაღების და 3. ჰაერში ფრენის საკითხი.

**დვინის რაიონი.** ჩვენმა ჯარმა კოპლაუს დასავლეთით და ჩრდილოეთ დასავლეთით 10 ვერსზე სოფლები დაიჭირა. ბრესლავკას რაიონში ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირისკენ დაეხია. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დესნას სამხრეთ დასავლეთით რამდენიმე სოფელი დასტოვა. სვენციანის მიმართულებით ხიაბკის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დნევენკი დაიჭირა. დაბა პინსკის დასავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ.

**თურანში.**

**მოსკოვი.** ენკ. 15. თურანის საველე შტაბის კომისარისაგან შემდეგი ცნობა მოვიდა: წითელი ჯარი ტაშკენტის რაზმს შეუერთდა. ორენბურგ-ტაშკენტის გზა თავისუფალია,

**დონეცის მიდამოებში.**

**კურსკი.** ენკ. 10. სევერინის გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია“ № 3281 სწერს: დონეცის მიდამოებში არც ერთ მაღაროში მუშაობა არ სწარმოებს. მაღაროების პატრონები, სადაც მუშაობა სწარმოებს, სისტემატიურათ უკლებენ მუშებს ხელ ფასს. შრომის ფასის შემცირების გამო ხშირათ ხდება მღელვარება. სურსათის საქმე ამ რაიონში ძლიერ ცუდ პირობებშია. დამშეულია მუშები პურის საშოვნელად გარბიან. ტიფისა და ხოლერის ეპიდემიამ ფართო ხასიათი მიიღო.

ენკენისთვის 13

## იტალიური პრესა

**მთავარ გამგე იტალიის ქვეითი მხედრობის.**

ჰერცოგი აოსტისა დაინიშნა იტალიის ქვეითი მხედრობის მთავარ ინსპექტორად.

**ახალი დირიჟაბლი.**

გაზეთ „მესაჯეროს“ სიტყვით ქალაქ ჩიამპინოში აგებენ ახალ დირიჟაბლს, რომელიც რომიდან სამხრეთ ამერიკაში უნდა გადაფრინდეს. ამგვარათ დირიჟაბლმა უნდა გადაიაროს მთელი სივრცე ატლანტიდის ოკეანეის. ფიქრობენ, რომ დირიჟაბლს შეეძლება საათში 90 კილომეტრის გავლა.

**საპარლამენტო კომისია და ავსტრიასთან ზავის პირობები.**

საპარლამენტო კომისია, რომელიც იხილავს ავსტრიასთან დადებულ ზავის პირობებს, სულ მოკლე დროში წარმოადგენს თავის მოხსენებას.

**კოლჩაკის წინსვლა.**

ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად კოლჩაკის წინსვლა თანდათან ვითარდება.

**უთანხმოება ჩეხებსა და პოლონელებს შორის.**

ტეშენის საკითხის გამო შეტაკება სწარმოებს ჩეხებსა და პოლონელთა შორის. მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: უთანხმოება პლებისციტის საშუალებით გადასწყდეს.

**გაბრ. დანუნციო ქეფიუმში**

ქეფიუმიდან იუწყებიან, რომ იქ მოვიდა იტალიელთა რაზმი გაბრიელ დანუნციოს ხელმძღვანელობით.

**ბულგარეთთან ზავი**

ზავის პირობებს სულ მოკლე ხანში გადასცემენ ბულგარეთის დელეგაციას პარიზში.

**ურაგვაის წარმომადგენელი რომში**

რომში ჩამოვიდა ურაგვაის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელთანაც ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა მეფეს.

**იტალიის მეფის შეწირულებანი**

იტალიის მეფემ განაცხადა, რომ უდიდეს ნაწილს სამეფო საგვარეულო მამულებისას ის უთმობს სახელმწიფოს. აგრეთვე მისი სურვილის თანახმად შემცირებულ იქმნა სასახლის ხარჯი რამოდენიმე მილიონით. ამ ცნობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია პარლამენტში.

**იტალიელი მფრინავი.**

იტალიელი მფრინავი სტორპინი, რომელიც ტურინიდან ამსტერდამში მიფრინავს, ქ. ბრიუსელთან ჩამოეშვა ბენზინის მისაღებად.

**იტალიელი მეომარნი.**

გაზ. ტრიბუნა“-ს აზრით ომში დახოცილ ყველა იტალიელ მეომრის სახელი და გვარი იქნება ამოკვეთილი ვიქტორ ემანუილს ძეგლზე რომში

**გამარჯვების მედალი.**

სამხედრო საზოგადოებამ გადასწყვიტა გამოსცეს მედალი გამარჯვების აღსანიშნავად; მედალს ჩამოასხამენ იმ ზარბაზნებისაგან, რომლებიც მტრებს წაართვეს ომის განმავლობაში.

# ჩრდილო-კავკასიის ხალხები

და

## ლეკების გმირებ

**ჰამზათ-ბეგი და შამილი** დაიბადა დაღისტანში 1789 წელს. ჩამომავლობით იყო ჰანკა, ე. ი. ბეგი, მაგრამ გლეხის ქალისაგან გაჩენილი.

იცოდა არაბული წიგნი. კაცი იყო გამბედავი და შორს მჭვრეტელი. 24 წლისა რომ გახდა, ბინა მისცა მას ფახუბიქამ თავის სახანო სასახლეში.

ეს ფახუბიქე იყო დედა ხუნძახის ხანისა (აბუ-ნუცალისა).

ოთხი წლის თავზე დაქორწილდა და ხანის სასახლეს გაშორდა და მიემხრო ყაზი-მოლას, რომელიც იმამად ითვლებოდა და იბრძოდა რუსების წინააღმდეგ და აგრეთვე თვით ხუნძახის ხანისა, რომელსაც ეკისრა რუსთა მფარველობა.

ივნისში 1830 წელს ყაზი-მოლა და ჰამზათ-ბეგი 8 ათასი მეომრით მიადგნენ ხუნძახს და მოითხოვეს დამორჩილება.

700 კომლოვან ხუნძახს მეომრად შეეძლო გამოეყვანა ორიათასამდე კაცი. მათ არ უნდოდათ ბრძოლა ყაზი-მოლასთან. გამოვიდა სასახლიდან ფახუბიქე და მიმართა სიტყვით:

„ხუნძახელებო! ამიერიდგან ქუდების მაგიერ დაიხურეთ ლეჩაქები! არ მეგონა, რომ ეგეთი ლაჩრები იქნებოდით“!

გამხნევდენ ხუნძახელებთა მიესივნენ ყაზიმოლა—ჰამზათბეგს და გაჰფანტეს.

მალე ჭარ-ბელაქნელებმა ითხოვეს შემწეობა, ყაზიმოლამ გაგზავნა ჰამზათ-ბეგი. დიდის მხნეობით იბრძოლა რუსებთან. ბოლოს დანებდა მტრებს და რამდენიმე თვე თბილისში გაატარა ტყვედ.

ყაზი ყუმუხის ასლანხანი თავდებად დაუდგა, და ჰამზათი ისევ ავარიაში გაჩნდა.

იქ კვლავ მოაგროვა ლაშქარი, და 1830—1831 წელს დაეცა ზაქათალას. ჭარ-ბელაქანი მისი მომხრე იყო. შიში დიდი გამოიწვია, გარეჯა—კი უშედეგოდ დაურჩა. 1831 წელს ისევ დაბრუნდა და შეუერთდა ყაზიმოლას, რომელიც თემირხანშურასთან ემზადებოდა რუსების დასახვედრად. ყაზიმოლამ აქ დატოვა ჰამზათბეგი და თვითონ გიმრში წავიდა.

საშინელ ბრძოლაში 1832 წელს დაიღუპა ყაზიმოლა. ჰამზათბეგმა თუმცა მოჰკლა რუსის ლაშქრის უფროსი, მაგრამ რუსებს ვერ გაუმაგრდა და გიმრს მივიდა.

გაიგო რა ყაზიმოლას სიკვდილი, თავისი თავი იმამად გამოაცხადა და უბრძანა მიურიდებს და ლეკებს ყველანი უნდა გამოხვიდეთო რუსთა წინააღმდეგ საბრძოლად და სამშობლოს დასაცველად გიაურებისაგან.

დიდძალი ჯარი მოუგროვდა. აგვისტოს 1834 წელს იგი მოუახლოვდა ხუნძახს. შეუთვალა ფახუბიქეს, რომ უბრალოდ სისხლი არ დაიღვაროს, გამომიგზავნე ამანათად შენი ვაჟები. მე მთელის ჩემის სამხედრო ძალით თქვენი ეროვნული ვარდ და ოლონდ მსურს გავდევნოთ რუსები დაღისტნიდამ.

ფახუბიქე და ნუცალხანი შეფუცხუნდნენ. საწინააღმდეგო ძალა კი არ ჰქონდათ. არჩიეს გაეგზავნათ ამანათად უმცროსი ვაჟი უმახანი და სოფლის საპატიო კაცები.

ჰამზათ ბეგმა მოწიწებით მიიღო უმახანი და გაგზავნა თავის სოფელში ყარაულ ქვეშ, ხოლო სასახლეს კვლავ შეუთვალა, უფროსი შვილიც გამომიგზავნე, რომ მოვილაპარაკოთო. არავის სჯეროდა ჰამზათ ბეგის მეგობრობა, მაგრამ ფახუბიქემ აიძულა ნუცალხანი. და ესეც რამდენიმე ნოქრით წავიდა.

ჰამზათმა მიიღო დიდ-ზეიმით და შეიპატიჟა თავის კარავში. აქვე იყო მაშინ ხანის ძმა უმახანაც ჰამზათის ნიშნებით დახოცეს ხანის ნოქრები, მოკლეს უმახანიც და თვითონ ხანიც.

აიყარა ჰამზათბეგი და ზათქით შევიდა ხუნძახში. დაბინავდა სახანო სასახლეში.

ფახუბიქე წინათვე გადაესახლებია ხანის სახლიდამ. ახლა-კი თვითონ დაბინავდა მასში და ისევ დაიბარა ფახუბიქე. ის იყო მწუხარებით მოკლულ ქალმა აღალო პირი და უწყო მილოცვა ჰამზათ ბეგს, რომ მის ნიშნებით თავი გააგდებინეს.

ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. ჰამზათი კი თავს იმართლებდა, ეგ რუსეთის მომხრე იყო და ახში ჩვენ გვიღალატებდა.

ამან ან აგრეთვე იმანაც, რომ ხალხს აუკვეთა თამბაქოს წევა და ღვინის სმა დაჰბადა ურში უკმაყოფილება. რამდენიმე კაცმა მოაწყო შეთქმულობა, რომ მოეკლათ მეჩითში. გაიგო ჰამზათ ბეგმა. მაგრამ მაინც წავიდა: თუ ეგეთია წერა, ვერ ავიცდენო,

19 სექტემბერს 1834 წელს მოღალატეთა ტყვიებმა წუთი სოფელს გამოასალმეს გმირი ჰამზათი.

შამილი დაიბადა ავარიის სოფელ გიმრში 1798 წელს. მის შესახებ დაიბეჭდა სიმ. სჯ. ესაძის შვენიერი წიგნი სათაურით „გუნიბის გარემოცვა და შამილის დატყვევება“.

პატარაობიდგანვე იგი მიემხრო ყაზი-მოლას და მერე ჰამზათ-ბეგს. კაცი იყო ფრიად სწავლული, შორს მხედველი, სამხედრო საქმის ზედმიწევნით მცოდნელი. იმავე დროს მეტის-მეტად სძულდა რუსები, როგორც დამთრგუნველნი პატარა ერების თავისუფლებისა.

იგი მონაწილე იყო ყაზიმოლას და ჰამზათ-ბეგის ყველა მოქმედებისა წინააღმდეგ რუსებისა.

ჰამზათ-ბეგი რომ მოკლეს, მან შეჰყარა ხალხი, რომლის მიერ ამორჩეულ იქმნა იმამად ჩაჩან-დაღისტნისა.

რუსებთან ჯერ მეგობრულად იყო ვითომ: იმის მეტი სხვა აზრი არ მაქვს, რომ წმინდა შარიათს დავუმორჩილო მაჰმადიანობაო. ნამდვილად კი ხალხს უნერგავდა გულში მძულვარებას გაურებისადმი, ამაგრებდა მთის ბილიკებს, ამზადებდა სურსათს, აიარაღებდა ხალხს. იმავ დროს მისი თანაშემწე ჰაჯი-ტაშავი მუშაობდა საჩაჩნოში.

1836 წელს შამილმა დაიწყო ცხადი მოქმედება. მას ამ დროს ემორჩილებოდა დიდი ნაწილი მთისა. მის წინააღმდეგ გაგზავნეს გენერ. ფეზი. მაგრამ მისი ლაშქრობა დასრულდა შერიგებით.

შამილი სწერდა ფეზის:

„ეს წერილი, სწერს შამილი, აცხადებს ზავს შორის რუსეთისა სახელმწიფოსა და დაღისტნისა, ასე რომ არც ერთის მხრივ არ უნდა იყოს არავითარი წყენა და ღალატი, ვინაიდგან მოღალატე წყეულია ღვთისაგანაც და კაცთაგანაც“.

ამ შერიგებამ დიდხანს ვერ გასტანა და მის დარღვევას შამილი აბრალებდა რუსებს.

გაიმართა სასტიკი ბრძოლები საჩაჩნოში, დაღისტანში. ყველგან შამილი იჩენდა დიდს ნიჭს და ხშირად რჩებოდა გამარჯვებული და დიდ ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგეს.

1840 წლის დასასრულს შამილი უკვე ითვლებოდა დამოუკიდებელ მფლობელად ვრცელ ქვეყნისა შორის სუნჯისა, ანდის-კოისუსი და ავარიის-კოისუსი.

ზედმეტად, ამავე წელს რუსებს განუდგა ჰაჯი-მურადი და მიემხრო შამილს.

ეს ჰაჯი-მურადი ფრიად მხნე კაცი იყო და ყაზიმოლას წინააღმდეგ ბრძოლისთვის რუსებმა იგი დააჯილდოვეს სამხედრო „ჩინით.“ მაგრამ ბოლოს რუსებმა შეატყვეს მუხანათობა. შეუკრეს ხელები, წინა და უკან საპლები მოაბეს, საბლის წვერები ჩააბარეს სალდათებს და მთელის რაზმის გაყოლებით გაისტუმრეს თემირხან შურას. მიჰყავდათ უფსკრულის პირას დაკიდულ საცალფეხო ბილიკით. ამათ ხელში ტანჯვას სიკვდილი მირჩევნიაო, გაიფიქრა და თავი მისცა უფსკრულს საბლის წვერების მჭერელი სალდათებიც თან გადაიყოლია.

დაგორებულ-დაჩეხილმა ფეხი იტკინა, მაგრამ მწყემსის ბინამდის მიაღწია იწამლა და შამილს მარჯვენა მკლავად გაუხდა. იგი შამილმა დანიშნა ავარიის ნაიბად.

1842 წელს რუსები შეესივნენ იჩკერიას, მაგრამ შამილს ხვდა აქ დიდი გამარჯვება. მტერს მოუკლა 66 აფიცერი და 1700 სალდათი, წაართო 6 ზარბაზანი და სხ.

შამილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან მიიწვია ჰაჯი-უსუპი და მასთან ერთად შეადგინა სამოქალაქო და სამხედრო დებულება. 16—60 წლამდე ყველა მოვალე იყო თოფით გამოსულიყო სამშობლოს დასაცველად. ქვეყანა დაჰყო სანაიბოდ და ყველა ნაიბს ჩააბარა 1000-კომლოვანი მოსახლეობა, სულ კი მთელს მის საბძანებელში დაითვალა 230,000 კომლი. ამას გარდა თავის ტანის მცველებად გაამწესა ცალკე მურთიზიგატები, რიცხვით 500; მურთიზიგატები დაუნიშნა ნაიბებსაც.

რადგან იმების გამო ბევრი ქალი ქვრივდებოდა და ეს იწვევდა დრტვინვას, ამის ასაცილებლად შამილმა უბრძანა ნაიბებს დაათხოვონ ყველა ქვრივები იმათზე, ვისაც იგინი მოინდომებენო.

ამით გული მოიგო გაუბედურებულებისა.

1844 წ. 4 ივნ. საინგილოს სულთანი დანიელ-ბეგი განუდგა რუსებს და მიემხრო შამილს, რომელმაც მოინდომა ყაბარდოს შემოერთებაც (1846 წ.).

ამის წინ წელიწადს (1845) შამილს მიესია რუსის ხუთი ლაშქარი ვორონცოვის მთავარსარდლობით.

დარღოში გამაგრებულ შამილმა მიუშვა რუსები, ვიწროები გამოატარა და მერე უკანიდანგან მოულოდნელად დაეცა და მუსრი გაავლო. თვითონ ვარანცოვიც ძლივს იხსნა მაშველად მოსულ ფრეიტაგმა.

ასე მძვინვარებდა მთაში შამილი. მან მოახერხა შემოეჭრა თვით კახეთშიაც, საცა დაარბია წინანდალი და გაიტაცა ჭავჭავაძიანნი და ბევრი სხ. ქართველი (1854 წ.).

ბოლოს, მთის არწივის დასაჭერად დაინიშნა ბარიათინსკი. და მართლაც ამან ისე ხერხიანად წაიყვანა საქმე, რომ შამილი მოიმწყვდია გუნიბში და მუნვე დაატყვევა იგი 25 აგვ. 1859 წელს და წარგზავნა კალუგას.

მის წასვლით დაღისტნის თავისუფლებაც მოისპო.

შამილი დარჩა კალუგას 1870 წლამდე და მერე წავიდა მექქას მოსალოცად, მაგრამ გზად გარდაიცვალა 1871 წელს.

აკვირდები ამ შესანიშნავ კაცის ცხოვრებას და ჰფიქრობ, მარტო შავბნელ ძალმომრეობას შეუძლია მოსპოს ლამაზი სიცოცხლე) რომელიც თავგამეტებით იბრძვის თავის საყვარელ სამშობლოს თავისუფლებისათვის. რამდენი შამილები მოუდრეკნია მხაკვრობა-მტარვლობას!..

**მ. ჯანაშვილი.**